

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 23 იანვრის სხდომის

ოქმი =20

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 17. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სოციალურ, კულტურისა და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის არჩევა. ქალბატონი ნაზი კუციავა არის პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი და იგი გულმოდგინედ ეკიდება თავის საქმეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ კომისიასაც წარმატებით გაუძღვება. მინდა გთხოვოთ, რომ აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურაზე ქალბატონ ნაზი კუციას დავუჭიროთ მხარი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 23 იანვრის =20 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სოციალურ, კულტურისა და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სოციალურ, კულტურისა და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს პროფ. ნაზი კუციავა.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი - სტუ-სთან „მანქანათა ნაწილებისა და ცვეთამედეგობისა და სიმტკიცის კვლევის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №841 – მომხსენებელი პროფ. გიორგი თუმანიშვილი;

**პროფ. გიორგი თუმანიშვილი:** მინდა მოგახსენოთ, რომ საკითხი არის ძალზე აქტუალური. ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით. ასევე გვაქვს ურთიერთობა ჩვენი უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან და არაერთი შეკვეთა გვქონია საქართველოს რკინიგზიდან და საზღვარგარეთიდანაც.

**პროფ. ჯუმბერ იოსებიძე:** ბატონი გიორგი არის წარმატებული ადამიანი, მე თავად გახლავართ ამ დარგის სპეციალისტი და მომსწრე ვარ მისი წარმატებების. ერთად გვიმუშავია რამდენიმე საკითხზე და გთხოვთ, რომ მხარი დავუჭიროთ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 23 იანვრის =20 სხდომაზე პროფ. გიორგი თუმანიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „მანქანათა ნაწილებისა და ცვეთამედეგობისა და სიმტკიცის კვლევის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №841.

**სენატმა გადაწყვიტა:** დამტკიცდეს სტუ-სთან „მანქანათა ნაწილებისა და ცვეთამედეგობისა და სიმტკიცის კვლევის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი - 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ - მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** საკითხი ეხება ამ წლის ბიუჯეტს, რომელიც გაგზავნილი იყო რეგენტთა საბჭოში. ბიუჯეტი დაგვიბრუნეს უკან და თან გადმოგვცეს ახალი ფორმა, თუ როგორი უნდა იყოს ბიუჯეტი, რომელსაც დაამტკიცებს რეგენტთა საბჭო. ამიტომ წარმოგიდგენთ ცვლილებებს

ბიუჯეტში, რომელსაც ყველა გაეცანით, რათა მოხდეს აღნიშნული ბიუჯეტის ახალ ფორმაზე მორგება.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** მე მიმაჩნია, რომ აქ იგულისხმება საშტატო განრიგის დამტკიცება. რექტორთან შეთანხმებით საშტატო განრიგი უნდა დამტკიცდეს მარტამდე და შემდეგ გადავუზავნით რეგენტთა საბჭოს. ასევე, მინდა გითხრათ, რომ გუშინ კომისიაზე განვიხილეთ აღნიშნული საკითხი და მიგვაჩნია, რომ არსებობს რეზერვები ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით. ასევე, უნდა გაუქმდეს ყველანაირი წამახალისებელი ფონდები და ყოველივე თანხა გადავიდეს სახელფასო ფონდში.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 23 იანვრის -20 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. სტუ-სთვის მთლიანი ასიგნებები გამოყოფილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის ორი მუხლით:

- საქონელი და მომსახურება - 1 595 600 ლარი;
- სუბსიდიები - 1 216 200 ლარი;

სულ ჯამში - 2 811 800 ლარი, საიდანაც განხორციელდება სტუ-ს კვლევითი ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დაფინანსება;

2. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამტკიცდეს კვლევითი ინსტიტუტების საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა, საშტატო ერთეულების რაოდენობები და სახელფასო ფონდები, კერძოდ:

2.1. ვლ. ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი 394 830 ლარი, საშტატო ერთეული - 175, წლიური სახელფასო ფონდი - 360 720 ლარი;

2.2. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი 163 170 ლარი, საშტატო ერთეული - 61, წლიური სახელფასო ფონდი - 140 160 ლარი;

2.3. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ბიუჯეტი 249 480 ლარი, საშტატო ერთეული - 70.5, წლიური სახელფასო ფონდი - 231 300 ლარი;

2.4. კვების მრეწველობის ინსტიტუტის ბიუჯეტი 86 580 ლარი, საშტატო ერთეული - 36, წლიური სახელფასო ფონდი - 68 460 ლარი;

2.5. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის ბიუჯეტი 18 540 ლარი, საშტატო ერთეული - 15.5, წლიური სახელფასო ფონდი - 18 540 ლარი;

2.6. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბიუჯეტი 151 830 ლარი, საშტატო ერთეული - 61, წლიური სახელფასო ფონდი - 122 220 ლარი;

2.7. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი 74 340 ლარი, საშტატო ერთეული - 19, წლიური სახელფასო ფონდი - 64 200 ლარი;

2.8. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი 215 460 ლარი, საშტატო ერთეული - 68, წლიური სახელფასო ფონდი - 207 600 ლარი;

2.9. ინსტიტუტ „ტალღას“ ბიუჯეტი 39 330 ლარი, საშტატო ერთეული - 11.5, წლიური სახელფასო ფონდი - 39 324 ლარი;

2.10. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ბიუჯეტი 77 670 ლარი, საშტატო ერთეული - 21.5, წლიური სახელფასო ფონდი - 71 700 ლარი;

2.11. ინსტიტუტ „ტექინფორმის“ ბიუჯეტი 89 190 ლარი, საშტატო ერთეული - 31, წლიური სახელფასო ფონდი - 76 644 ლარი;

2.12. „ბიოტექნოლოგიის“ ცენტრის ბიუჯეტი 49 860 ლარი, საშტატო ერთეული - 16, წლიური სახელფასო ფონდი - 39 636 ლარი;

2.13. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტი 462 400 ლარი, საშტატო ერთეული - 53, წლიური სახელფასო ფონდი - 352 500 ლარი;

2.14. სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის ბიუჯეტი 9 708 ლარი, საშტატო ერთეული - 3.5, წლიური სახელფასო ფონდი - 9 708 ლარი;

2.15. გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების ბიუჯეტი 16 940 ლარი, საშტატო ერთეული - 3, წლიური სახელფასო ფონდი - 16 440 ლარი;

2.16. ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბიუჯეტი 135 000 ლარი.

3. დამტკიცდეს საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსების საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა 577 472 ლარის მოცულობით, საიდანაც იგეგმება სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიების მიმდინარე სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4. დაიგეგმოს სახელმწიფო სტიპენდიების დაფინანსების პროგრამა 442 500 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული

პროგრამული დაფინანსებით 3 254 300 ლარით, მ.შ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა - 2 811 800 ლარით და სახელმწიფო სტიპენდიების სტუდენტების პროგრამით - 442 500 ლარით (ეს უკანასკნელი დაზუსტდება სტუდენტთა რაოდენობებისა და ფაქტობრივად, სტუ-ს ანგარიშზე ჩარიცხული თანხობრივი ოდენობის მიხედვით).

5. დამტკიცდეს ა(ა)იპ სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 39 862 423 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი, გაწერილი პროგრამულად, როგორც მოცემულია ნაერთ ბიუჯეტში:

5.1. ა(ა) იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ადმინისტრირებისა და საფაკულტეტო დაფინანსების პროგრამა. სულ ასიგნებები - 36 004 602 ლარი;

5.2. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელშეწყობის პროგრამა. სულ ასიგნებები - 2 234 328 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი);

5.3. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამა. სულ ასიგნებები - 603 521 ლარი;

5.4. სახელმწიფო სტიპენდიების დაფინანსების პროგრამა. სულ ასიგნებები - 442 500 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი);

5.5. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა. სულ ასიგნებები - 577 472 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი).

ამასთან, სტუ-ს ადმინისტრაციამ გაითვალისწინოს, რომ საშტატო ერთეულების წარმოდგენილ ოდენობაზე ხელფასი გაიცემა ახალი საშტატო განრიგის დამტკიცებამდე.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე